საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

16/11/2020 N 97/ო

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად, ტერიტორია N8-ის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 29 ოქტომბერს და 12 ნოემბერს №7160/01, №7392/01 განცხადებებით მომართა ამხანაგობა „დიდველის რეკრეაციის“ თავჯდომარემ ჯუმბერ ლომინაძემ (პ/ნ: 01008013815). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა ბორჯომის მუნიციპალიტეტში ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად, ტერიტორია N8-ის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების განხილვა და დავალების გაცემა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოიკვლია არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ აღნიშნული საპროექტო არეალი ხვდება ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის საზღვრებში, დიდველის არსებული საბაგირო სადგურის ჩრდილო-დასავლეთით, მოიცავს შემდეგ საკადასტრო ერთეულებს 64.30.04.743, 64.30.13.144, 64.30.04.680, 64.30.04.681, 64.10.09.389, 64.30.04.901, 64.30.04.903, 64.30.04.902, 64.30.04.705, 64.30.04.706, 64.30.04.714, 64.30.04.653, 64.30.04.930, 64.30.04.929, 64.30.04.667, 64.30.04.658, 64.30.04.709, 64.30.04.648, 64.30.13.070, 64.30.04.822, 64.30.13.071, 64.30.13.058, 64.30.04.631, 64.30.13.044, 64.30.13.043, 64.30.13.042, 64.30.13.041, 64.30.04.797, 64.30.04.798, 64.10.09.409, 64.30.04.693, 64.30.04.694, 64.30.04.639, 64.10.09.343, 64.10.09.341, 64.30.04.057, 64.30.04.891, 64.10.09.410, 64.30.04.402, 64.30.04.810, 64.30.04.077, 64.30.04.492, 64.30.04.324, 64.30.13.057, 64.30.13.056, 64.30.13.068, 64.30.04.325, 64.30.04.962, 64.30.04.955, 64.30.04.024, 64.30.04.984, 64.30.04.025, 64.30.04.013, 64.30.04.011, 64.30.04.014, 64.30.04.016, 64.30.13.197, 64.30.04.017, 64.30.04.019, 64.30.04.018, 64.30.04.988, 64.30.04.989, 64.30.04.990, 64.30.04.160, 64.30.04.159, 64.30.04.975 და მათ შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიას.

„ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, გეგმარებითი ერთეული ხვდება საპროექტო ტერიტორიაზე (განაშენიანების გეგმით ან განაშენიანების დეტალური გეგმით განვითარებადი ტერიტორია), წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების/განაშენიანების დეტალური გეგმების დადგენილი პირობების შესაბამისად მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარება, (სასტუმრო, აპარტოტელი, კოტეჯები, სპორტული მოედნები, კვების ობიექტები, სათხილამურო ტრასები, საბაგირო, ველობილიკი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა რეკრეაციული ობიექტები და ა.შ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, დანართი №1-ით გათვალისწინებულ გეგმარებით ერთეულზე ტერიტორია N8-ის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების გათვალისწინებით.

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატიცის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი №2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად.

2. დაევალოს სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსს (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ნინო გვენცაძეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება ამხანაგობა „დიდველის რეკრეაციის“ თავჯდომარე ჯუმბერ ლომინაძესთან (პ/ნ: 01008013815). ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

3. განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში.

4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება, შესაბამისი თარიღიდან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად და შეწყვეტილ იქნეს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მინისტრი მაია ცქიტიშვილი

მაია ცქიტიშვილი

მინისტრი